



MES 1 21 0000905577



13/09/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 31.08.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:10სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. გიორგი ლაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტი" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტი" ასოცირებული პროფესორი;
12. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)

წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ანა გოგიჩაძე	შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	I
3	ნინო ბერელიძე		მრჩეველი პროგრამულ განვითარების მიმართულებით	I
4	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ვლადიმერ ადეიშვილი		პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
7	მამული ბუჭუხიშვილი		პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ ხელმძღვანელი	II

8	იაგორ ბალანჩივაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ ხელმძღვანელი.	II
9	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	III
10	ნათია სამუშია		პრორექტორი	III
11	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	III
12	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	III
13	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	III
14	თამარ გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	III
15	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	III
16	ნუცა ბათიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
17	ლანა გაბრიაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
18	ალექსანდრე მოსიძე		ლექტორი	III
19	ლაშა მაშიაშვილი		ლექტორი	III
20	ნიკოლოზ ალექსიძე		ლექტორი	III
21	ნინო ჟღენტი		ლექტორი	III

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ნინო დგვეფაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	დავით ცირამუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ზაქარია ქიტიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ეკატერინე კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გიორგი თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მარკეტინგი

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მარკეტინგის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მარკეტინგი და რეკლამა - 0414
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., #82, თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის

საშუალებით, 2021 წლის 23 ივლისს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები შექმნა იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის მე-3, მე-4 და მე-12 სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა;

2. რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სასწავლო კურსები სტატისტიკა ბიზნესისათვის და აკადემიური წერა;

3. რეკომენდებულია ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილ იქნას სიმულაციური თამაშის MARKSTRAT-ის ციფრული მარკეტინგის კომპონენტის შეთავაზება.

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი“ შინაარსის კორექტირება.

5. რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, უსდ-ს მიერ შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის თანახმად; გარდა ამისა, ვინაიდან ციფრული მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მარკეტინგის ბაკალავრის კვალიფიკაცია, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია დარგობრივი კომპეტენციის მქონე აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდამჭერი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ გვიანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ პირველი რეკომენდაცია გაზიარებულია, კერძოდ, პროგრამის მე-3 და მე-4 შედეგები გაერთიანდა 1.2 კომპონენტის აღწერასა და ანალიზში მითითებული ექსპერტთა მოსაზრების შესაბამისად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „იყენებს მარკეტინგული კვლევის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს მომხმარებლის საჭიროებების, მისი სამომხმარებლო ქცევისა და ბაზრის შესწავლის პროცესში“; პროგრამის მე-12 შედეგი, მისი გაზომვადობის გამარტივების მიზნით, ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს ციფრული მარკეტინგის განახლებულ მიდგომებს და ინსტრუმენტებს ციფრული მარკეტინგის პროცესების სამართავად“.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში დაემატება სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ (თავისუფალი კომპონენტის ნაწილში); სტატისტიკის საკითხები გაძლიერდება სასწავლო კურსში „რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი Excel-ის და Spss-ის გამოყენებით“, რომლის დასახელება (საჭიროების შემთხვევაში) შეიცვლება განახლებული შინაარსის შესაბამისად.

დაწესებულება ასევე სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ მე-3 რეკომენდაციას.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, რეკომენდაცია არის გაზიარებული, გადაიხედება სასწავლო კურსის ცალკეული საკითხები, კერძოდ, რეკომენდაცია #2-ს გათვალისწინების მიზნით გაძლიერდება სტატისტიკის საკითხები, ასევე, მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი რაოდენობრივი კვლევის შემდეგი საკითხები: ჰიპოთეზის ტესტირების პროცესი, კვლევისა და სტატისტიკური დიზაინი, რენდომიზირებული ფაქტორული ექსპერიმენტი ფაქტორული ANOVA-ს გამოყენებით, ორფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი კორელაცია, და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული მე-5 რეკომენდაციაც, კერძოდ რეკომენდაცია სრულად ემთხვევა დაწესებულებაში მოქმედ მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომელზეც თავად ექსპერტები მიუთითებენ სტანდარტის ამ კომპონენტის აღწერა/ანალიზში. ასევე, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: პროგრამაზე სტუდენტთა პირველი მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 2022-2023 აკადემიურ წელს, პერსონალის გაზრდა მოხდება ეტაპობრივად - დაწესებულებაში დადგენილი სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობის და თანაფარდობის დაცვით.

დაწესებულებების წარმომადგენლის განმარტებით ასევე გაზიარებულია მე-6 რეკომენდაცია და მისი შესრულება დაიწყება პროგრამის ამოქმედებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშყარიანმა აღნიშნა, რომ საბჭო მხედველობაში არ იღებს ინფორმაციას რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, საბჭო ხელმძღვანელობს დასკვნის შედგენისა და ვიზიტის პროცესში არსებული მდგომარეობით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის მიდგომა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ყველა რეკომენდაციას იზიარებენ, თუმცა საბჭო არ არის უფლებამოსილი მხედველობაში მიიღოს რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგები.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ „მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსში, ნათარგმნი ლიტერატურა მომველებულია, კერძოდ 2006 წლის. მას შემდეგ საკმაოდ ბევრი ლიტერატურა არის

ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე. თუმცა აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს, რადგანაც კურსის ფარგლებში ასევე გამოიყენება ე.რ. რიდერი. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფინანსური გეგმა

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ფინანსური გეგმა, სადაც მითითებულია, რომ თანხის 50% გადარიცხული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავად პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამული უზრუნველყოფის თანხები საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, თუმცა წარმოდგენილ ვარიანტში პერსონალისა და პროგრამული უზრუნველყოფის თანხები არის 1:1-ზე, თუმცა აუცილებელია პროგრამულ უზრუნველყოფაზე მეტი თანხა დაიხარჯოს.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილ შედეგებს შორის არის დისბალანსი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორია დასაქმების სფეროები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ჯამური თანხა რაც აუცილებელია პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილში ბიუჯეტში, დათვლილია ყველა იმ პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამის ფასის მიხედვით ბიუჯეტში მოცემული პირველი წლის მისაღები სტუდენტების რაოდენობაზე. ბუნებრივია შემდეგი წლების ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით განიცდის კორექტირებას სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგებს, მასში მოცემულია ცოდნისა და გაცნობიერების ასპექტები, რომელიც აუცილებელია, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დარგობრივი საჭიროებები და შესაბამისობაში იყოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. რაც შეეხება უნარებს, რადგან პროგრამა არის პრაქტიკული მიმართულების, ძალიან მნიშვნელოვანია ის პრაქტიკული უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა არა მარტო დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრების საფუძველზე, არამედ იმ დარგობრივი ორგანიზაციების დახმარების საფუძველზე, რომლებიც მონაწილეობდნენ მოცემული პროგრამის შემუშავებაში.

მნიშვნელოვანია ასევე დასაქმების სფეროების საკითხი, პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება როგორც კერძო და საჯარო სექტორში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმება სხვადასხვა პოზიციებზე და იმ სპეციალობებით რაც ისწავლება პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები რამდენიმე კომპანიასთან, სადაც საქმდებიან კურსდამთავრებულები, ასეთი შეიძლება იყოს სხვადასხვა ბანკი, სარეკლამო სააგენტოები და სხვა მრავალი კომპანია.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ესპერტებს საშუალება გასაუბრებოდნენ დასაქმებულ კურსდამთავრებულებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს გასაუბრება ჰქონდათ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, რომელთაგან ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ იგი იყო დასაქმებული იმ ორგანიზაციაში რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების ჩართულობა სტუდენტთა დასაქმებაში საკმაოდ მაღალია.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დააზუსტა თუ რამდენად აქვს დაწესებულებას ბერკეტი, რომ გაითვალისწინოს რჩევა გარე შეფასებასთან დაკავშირებით და რამდენად მიემართება აღნიშნული რჩევა ინსტიტუციას. აღსანიშნავია ასევე რჩევა, რომელიც გაცემულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების რეგულარულ ანალიზთან დაკავშირებით. კერძოდ,

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა საფუძვლები არსებობდა იმისთვის, რომ აღნიშნული რჩევა განსაზღვრულიყო.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა თუ როგორ ხდება ზოგადი კომპეტენციის ფარგლებში შედეგებისა და კომპეტენციების გაზომვა.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რჩევის გაცემის საჭიროება აკადემიური მოსწრების ანალიზთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გარე შემფასებლების მიერ განხორციელებული შეფასების ფორმაში ჩარევას, დაწესებულებას შეუძლია თავად განსაზღვროს ფორმა და შესთავაზოს შემფასებლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიური მოსწრების შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს პროცესი ხორციელდება სემესტრულად, ასევე კეთდება წლიური შემაჯამებელი ანალიზი. აღნიშნული ხორციელდება არა მარტო თითოეული სასწავლო კურსის, არამედ განმახორციელებლის ფარგლებშიც, რადგან ხშირად ერთ სასწავლო კურსს რამდენიმე ლექტორი კითხულობს. შესაბამისად, აკადემიური მოსწრების ანალიზი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

რაც შეეხება შედეგების გაზომვის საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში დეტალურად არის მოცემული თუ რომელი ტრანსფერული უნარები იქნება განვითარებული კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ტრანსფერული უნარების გაზომვის მექანიზმები ცალკე განყენებული რომ იყოს განხილული არარელევანტურია. ტრანსფერული უნარების გაზომვის მექანიზმი ასე ზუსტად არ არსებობს, ის ვითარდება სრულად პროგრამის განხორციელების პერიოდში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:57

დასრულების დრო: 16:07

16:00- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის მე-3, მე-4 და მე-12 სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა;

ბ) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ გამოიკვეთოს ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენცია და შემოიფარგლოს მხოლოდ გაზომვადი შედეგებით.

გ) რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სასწავლო კურსები სტატისტიკა ბიზნესისათვის და აკადემიური წერა;

დ) რეკომენდებულია ციფრული მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილ იქნას სიმულაციური თამაშის MARKSTRAT-ის ციფრული მარკეტინგის კომპონენტის შეთავაზება.

ე) რეკომენდებულია სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევა და მონაცემთა ანალიზი“ შინაარსის კორექტირება.

ვ) რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, უსდ-ს მიერ შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის თანახმად; გარდა ამისა, ვინაიდან ციფრული მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მარკეტინგის ბაკალავრის კვალიფიკაცია, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია დარგობრივი კომპეტენციის მქონე აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

ზ) რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მხარდაჭერი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს მათი მხრიდან სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ქმედით ხელშეწყობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ა) სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს ყველა სასწავლო მასალის, მათ შორის სასწავლო კურსების ე.წ. რიდერების (ონლაინ) ბიბლიოთეკაში განთავსება; რიდერებზე შემდეგი ინფორმაციის მითითებით: ავტორი, გვერდების რაოდენობა, მომზადების წელი.

ბ) სასურველია ბტუ-მ გააძლიეროს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების ანალიტიკის მონიტორინგი და გამოიყენოს მონაცემები სტუდენტებში სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაციის მიზნით.

გ) სასურველია პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას ხარჯვითი ნაწილი იყოს უფრო დეტალიზებული (განსაკუთრებით პერსონალის განვითარების და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯების მუხლები), ასახავდეს სტანდარტით მოთხოვნილ ყველა პუნქტს.

დ) სასურველია დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;

ე) სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

ვ) სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იყოს რჩევებისა და რეკომენდაციების მეტი კონკრეტულობა და დეტალიზაცია, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის და სასწავლო კურსებთან მიმართებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 - განათლება
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ., No59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი No2, 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 1 ივლისს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის საფუძველზე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების გათვალისწინებით მოამზადეს და წარმოადგინეს განხორციელებული ცვლილებების ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმებოდნენ. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულების წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, წარმოადგინეს მათი არგუმენტირებული პოზიცია.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია მე-4 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება არ ეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება ეფუძნებოდა ინტერვიუების შედეგებს. პროგრამის გარკვეული კომპონენტების დაზუსტებისას ვიღებდით ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს და გარკვეული საკითხები ინტერვიუს შემდეგადაც დაუზუსტებელი დარჩა. ამის შემდეგ გახდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროგრამაზე მუშაობის, მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცნობის საჭიროება.

რაც შეეხება შეფასების ფორმასა და ინსტრუმენტებს, ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამომდინარეობდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ბოლო 5 წლის დემოგრაფიული აღწერილობის მაჩვენებლიდან, კერძოდ აპლიკანტთა და ჩარიცხულ პირთა თანაფარდობამ. წინამდებარე დასკვნაში არ არის ყურადღება გამახვილებული აღნიშნული მიგნების მიზეზებზე, რადგან ეს შეიძლება გახდეს თავად დაწესებულების კვლევის საგანი.

გასათვალისწინებელია ასევე სასწავლო კურსებში არსებული ლიტერატურის საკითხიც, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის შეფასება, რადგან სილაბუსებში არ ჩანს, ცალკეული სახელმძღვანელოს რა ნაწილი გამოიყენება სწავლებისას.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნები. შეიცვალოს რიგი დებულებების ფორმულირება როგორც სტილისტიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით;
2. რეკომენდებულია, პროგრამის მიზანში ასახული ინკლუზიური განათლების პრინციპების რელევანტურობისათვის აღნიშნული შინაარსის არჩევითი კურსი სავალდებულო საგნად განისაზღვროს;
3. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დაზუსტდეს განათლების რომელი სფეროს შესწავლაზეა ორიენტირებული პროგრამა;
4. რეკომენდებულია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება;
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკის შინაარსი. აღნიშნული ბლოკს დაემატოს პროგრამის სწავლის შედეგის „ჩამოთვლის/აღწერს .. განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს“ რელევანტური თემატიკა / სასწავლო კურსი;
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესურსების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა;
8. შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე შეფასების ისეთი პროცედურა და შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას;
9. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დადასტურების პირობები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო რესურსებთან;

10. განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის B2 დონეზე დადასტურების პირობები;
11. გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით;
12. პროგრამის სტრუქტურის ლოგიკური განვითარებისა და ათვისების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
13. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით;
14. რეკომენდებულია, ერთი სასწავლო კურსისთვის, მისი მოცულობის გათვალისწინებით, განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
15. რეკომენდებულია, თითოეული სალექციო თემისთვის განისაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახოს კურსების სილაბუსებში;
16. ზოგიერთი სასწავლო კურსის („კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“, „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“) სილაბუსით აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;
17. გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია. შესაბამისობაში მოვიდეს ის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებთან;
18. შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსთან, სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებსა და ზოგადად უნივერსიტეტო პრაქტიკის დოკუმენტთან;
19. რეკომენდებულია, შეფასების ინსტრუმენტები მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლებასწავლის მეთოდებისგან;
20. რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
21. უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებაში სტუდენტისთვის ქულის მინიჭების შემთხვევაში ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობით განსაზღვრულ ყველა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს ქულის მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ან შეფასებისას აღნიშნული უპირატესობების მინიჭების მექანიზმი მოიხსნას;
22. რეკომენდებულია, უნივერსიტეტში დაინერგოს შეფასების მეთოდების, ფორმებისა და შეფასების პროცედურების ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;
23. რეკომენდებულია, მოხდეს სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება და სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა ამ მიმართულებით;
24. რეკომენდებულია, სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელით. აღნიშნული პირობა აისახოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დოკუმენტში;
25. უზრუნველყოფილი იყოს აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობისას შესაბამისი აკადემიური სტილისა და ნორმების დაცვა;
26. სასწავლო კურსების „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბავშვთა უფლებების“ სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, განმახორციელებელ ლექტორ(ებ)თან ერთად, სამართლის მიმართულებით არსებული შიდასაუნივერსიტეტო ადამიანური რესურსის გამოყენება, მათი სამეცნიერო თუ

პრაქტიკული საქმიანობის სფეროს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კურსის შინაარსთან;

27. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ჩამონათვალთან;
28. ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან უნდა გამომდინარეობდეს. თვითშეფასება უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს;
29. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში, უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ პირველი და მე-3 რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულად გაიზიარა და შესაბამისი ცვლილებები გამოგზავნილი იქნა ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოსთვის.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსის „ინკლუზიური განათლება“ სწავლება გათვალისწინებულია მე-2 სემესტრში არჩევითი კურსის სახით, ექსპერტების აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ მას შეეცვალა სტატუსი, გახდა სავალდებულო და განხორციელდება სწავლების პირველ სემესტრში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე, აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინტერესებული მხარეები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრეულები, დამსაქმებლები), რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ პროგრამის განახლება/გადამუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობაში. რაც შეეხება პროგრამის მუშაობის პროცესის დოკუმენტირებას, დაწესებულება ყოველთვის იცავს პროცედურებს და ახდენს სამუშაო შეხვედრებისა და სხდომების დოკუმენტირებას. პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ყველა შეხვედრა არის დაოქმებული. 2020 წლის ოქტომბრამდე აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ერთ-ერთი დანართი - „პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია“ ითვალისწინებდა უსდ-ს მხრიდან რეკომენდაციაში მითითებული დოკუმენტების წარდგენას, მაგრამ 2020 წლის სექტემბერში განხორციელდა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართების (დოკუმენტაციის) ოპტიმიზაცია და აღნიშნული დანართი ამოღებულია ჩამონათვალიდან. აღნიშნულის გამო, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიმდინარე პროგრამაზე მუშაობის ეტაპების ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ვიზიტის დღეს ექსპერტების მხრიდან აღნიშნული დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, იქნებოდა მიწოდებული. შესაბამისად დაწესებულება რეკომენდაციას არ ეთანხმება.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, უსდ-მ გადახედა პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმს და კურიკულუმში წარმოდგენილ ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების შესახებ. დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი კერძოდ, სტუდენტის აქტივობის შეფასება დაწესებულებაში მოქმედი შეფასების წესის მიხედვით არის არაუმეტეს 30 ქულა და არა არანაკლებ 30 ქულა. რეკომენდაციის გათვალისწინებით ხარვეზი გასწორდა.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პასუხი მე-6 რეკომენდაციაზე, კერძოდ აკრედიტაციაზე წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსები „განათლების მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ (მე-2 სემესტრი) და „ბავშვთა უფლებები“ (მე-4 სემესტრი)

წარმოდგენილი იყო არჩევითი სასწავლო კურსების სახით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განახორციელეს ცვლილება პროგრამის სასწავლო გეგმაში, კერძოდ, ორივე სასწავლო კურსის სტატუსი განისაზღვრა როგორც სავალდებულო და ორივე განხორციელდება სწავლების მე-2 სემესტრში. რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსში ძირითადად განხილულია ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი დებულებები, აღნიშნული თემების განხილვისას, სწავლების პროცესში გამოყენებული მაგალითები, აგრეთვე სიტუაციური ამოცანები და როლური თამაშები სრულად არის მორგებული განათლების სფეროზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა უმრავლესობას არ აქვს მენეჯმენტისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტის საბაზისო ცოდნა, რაც განაპირობებს აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში ზოგადი დებულებების შესწავლის აუცილებლობას, ბუნებრივია, განათლების სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. სილაბუსში განხორციელებულია გარკვეული სახის ცვლილებები.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზებას და მის ჩატარებას, აწსუ-ში მოქმედი რეგულაციების დაცვით, უზრუნველყოფს აწსუ-ში მოქმედი საგამოცდო ცენტრი. საგამოცდო ცენტრში ხდება მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებების შეფასება ყველა პროცედურის დაცვით და შეფასების იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც სამაგისტრო გამოცდის კომისიის მიერ განისაზღვრება. შესაბამისად უზრუნველყოფილია შეფასების სანდოობა, ვალიდურობა და ობიექტურობა.

დაწესებულების წარმომადგენლები სრულიად იზიარებენ მე-9 რეკომენდაციას, ხოლო რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში ჯერ არ ჰქონიათ შემთხვევა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის მქონე უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეების რეგისტრაციის და შესაბამისად, არ დამდგარა მსგავსი ტიპის გამოცდის ჩატარების საჭიროება.

მნიშვნელოვანია ასევე მე-11 რეკომენდაცია, კერძოდ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დღეს პროცესის შეჯამებისას ისაუბრა რეკომენდაციის შესახებ. შესაბამისად პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა არჩევითი სასწავლო კურსების გადაჯგუფების საკითხი და პროგრამის სასწავლო გეგმაში შეიტანეს ცვლილებები, კერძოდ, პირველ ბლოკში გაერთიანდა არჩევითი სასწავლო კურსები „სწავლის უნივერსალური დიზაინი“, „ციფრული და მედია წიგნიერება“, „სასწავლო კურიკულუმის აგების პრინციპები“, მეორეში - „განათლების პოლიტიკა და მართვა“, „პროფესიული განათლების თავისებურებები და ეთიკა“, „მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები“, მეოთხეში - „განათლების ფილოსოფია“, „განათლების სოციოლოგია“ და „სოციალური პედაგოგია“.

რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, რეკომენდაცია გაითვალისწინეს, გადაიხედა სასწავლო კურსების წინაპირობები და განისაზღვრა შემდეგი სახით: სასწავლო კურსი „თანამედროვე პედაგოგიური აზროვნება“ წინაპირობად განესაზღვრა ორ სასწავლო კურსს „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 1“ და „დემოკრატიული და მულტიკულტურული განათლების საფუძვლები“; „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 1“ წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსებს „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“ და „პრაქტიკის კვლევა“; „სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ტექნოლოგიები“ წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსს „სწავლებისა და განვითარების თეორიები“; არჩევითი სასწავლო კურსის „მოსწავლეთა დიაგნოსტიკა და დიფერენცირებული მიდგომა“ წინაპირობა გახდა სასწავლო კურსები „ინკლუზიური განათლება“ და „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 1“; პროფესიული პრაქტიკას წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსები: „თანამედროვე პედაგოგიური აზროვნება“; „სწავლებისა და განვითარების თეორიები“, „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 1“ და „სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ტექნოლოგიები“.

დაწესებულება ასევე სრულად იზიარებს მე-13 რეკომენდაციას, შესაბამისად სილაბუსები გადაიხედა და ჩასწორდა.

რაც შეეხება სავალდებულო ლიტერატურას, რეკომენდაცია გათვალისწინებულია, შესაბამისად, სილაბუსებში მითითებული იქნება სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობა. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც გავლილი აქვთ საბაკალავრო საფეხური და უკვე ფლობენ ლიტერატურის, მონაცემების დამოუკიდებლად მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარს, თავად უნდა შეძლონ სილაბუსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურაში სალექციო თემების შესაბამისი ნაწილის მოძებნა.

მნიშვნელოვანია ასევე მე-17 რეკომენდაცია, კერძოდ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის სხდომაზე დამტკიცდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება №38(20/21)). სამაგისტრო პროგრამებში სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდა აწსუ-ს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესთან, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“, რითაც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების რეკომენდაცია. საყურადღებოა ასევე, რომ აწსუ-ში მოქმედებს „სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი“ რომლის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შექმნა, პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზება. დაწესებულებამ ასევე სრულად გაიზიარე ექსპერტთა რეკომენდაცია შეფასების ინსტრუმენტების სწავლა-სწავლების მეთოდებისგან გამიჯვნის შესახებ.

მნიშვნელოვანია მე-20 რეკომენდაცია, კერძოდ აწსუ-ში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა არ ზღუდავს სასწავლო კურსის ავტორს თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმა და მეთოდი. გამოცდები შეიძლება იყოს ტესტური, წერიტი, ზეპირი, კომბინირებული (წერა და ზეპირი, ტესტირება და ზეპირი). გარდა ამისა, აწსუ-ში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემით სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში ფასდება არა უმეტეს 30 ქულით, შუალედური გამოცდა არა ნაკლებ 30 ქულით და დასკვნითი გამოცდა არის 40 ქულა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №5 (17/18), 15.09.2017). აღნიშნული წესის გათვალისწინებით აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სასწავლო კურსის განმახორციელებელს შეუძლია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვროს შუალედური გამოცდისა და სტუდენტის აქტივობის ქულა. მაგ: შუალედური გამოცდა შეაფასოს 35 ან 40 ქულით და სტუდენტის აქტივობა 20 ან 25 ქულით.

რაც შეეხება 23-ე რეკომენდაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მათ შორის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო მობილობების, გაცვლითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შესახებ. ამისთვის იყენებს უნივერსიტეტის ვებ გვერდს, კორპორაციულ ფოსტას და თავად პროგრამის ხელმძღვანელები/განმახორციელებლები ჩართული არიან სტუდენტების აღნიშნული აქტივობებით დაინტერესების პროცესში. გარდა ამისა, საგარეო ურთიერთობების და განვითარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პროგრამებთან გაცვლითი პროექტების მიმართულებით. სასურველია გაცემული რეკომენდაცია მოცემული ყოფილიყო რჩევის სახით.

24-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის სხდომაზე დამტკიცდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი (დადგენილება #38 (20/21)). აღნიშნული წესის მეორე მუხლში -სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ჩაიწერა: „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუსპროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი – მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება შესაბამის ოქმში (დეპარტამენტის სხდომა)... სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელი

(კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე)“. (თუ დავდებთ ვებ-ზე მივუთითებთ ლინკს) თანახელმძღვანელთან დაკავშირებით ინფორმაცია დეტალურად შეიძლება გაიწეროს პროგრამაში, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

რაც შეეხება 26-ე რეკომენდაციას, სასწავლო კურსს „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ ანხორციელებს ლექტორთა ჯგუფი, რომელთა შორის ერთი განმახორციელებელი არის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ასევე მოწვეული იქნება სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს უფროსი. სასწავლო კურსს “ბავშვთა უფლებები“ განახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი ის აკადემიური პერსონალი, რომლებიც გადიან 2021 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების პროგრამას უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ბავშვთა უფლებების სპეციალისტებად მომზადებასთან დაკავშირებით (პროგრამა დასრულდება მიმდინარე წლის ნოემბერში). ხორციელდება 6 თვიანი პროფესიული განვითარების პროგრამა: ბავშვთა უფლებების სწავლება უნივერსიტეტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში მოცემულია 58 საგანმანათლებლო დაწესებულება, შესაბამისად დააზუსტა მოცემული დაწესებულებები ძირითადად წარმოადგენენ თუ არა სკოლებს. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვაში მოცემულია, რომ დასაქმების ძირითადი სფერო არის საჯარო და კერძო სკოლები, თუმცა პროგრამაში წერია „განათლების მეცნიერებები“, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია მთელი რიგი მიმართულებები, რომლებიც არის დანომრილი, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მათი დასათაურება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რიგი სასწავლო კურსის სილაბუსების ლიტერატურაში მითითებულია ბმულები, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რითი იყო აღნიშნული გამოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევა უნივერსიტეტმა დაუკვეთა ორგანიზაციას, შესაბამისად მათ გადმოეგზავნათ საბოლოო დასკვნა. ამის შემდგომ დაწესებულებამ დამატებით განახორციელა კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევა, რომლითაც დადგინდა პროგრამისადმი ძირითადი ინტერესები და მოთხოვნები. შესაბამისად, მათი გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საბოლოო სამაგისტრო პროგრამა.

რაც შეეხება დასაქმების სფეროს, მათ ძირითადად წარმოადგენს სკოლა, ნაკლებად სხვა დაწესებულებები.

მნიშვნელოვანია ასევე სილაბუსებში მითითებული ბმულების საკითხი, კერძოდ სახელმძღვანელოების მოძიება ხშირ შემთხვევაში სირთულესთან არის დაკავშირებული, შესაბამისად მოხდა ბმულების მითითება. გარდა ამისა ბმულების მეშვეობით სახელმძღვანელოებზე წვდომაც მეტად ხელსაყრელია, განსაკუთრებით კი უცხოენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით. ყველა მოცემული ბმული ასევე განთავსებულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ მიმართულებებთან დაკავშირებით დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და შესაბამისად მოხდა მითითებული ცვლილებების განხორციელება.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ რიგი რეკომენდაციები შინაარსიდან გამომდინარე რჩევისკენ იხრება და შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შინაარსიდან გამომდინარე, მე-2 სტანდარტი ხომ არ უნდა ყოფილიყო შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. გარდა ამისა აღსანიშნავია, თუ რამდენად სრულად იფარება განათლების მეცნიერების საკითხები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ ბმულებს ახასიათებს საკმაოდ ხშირი ცვალებადობა, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ იზღვევს დაწესებულება თავს და თუ შესაძლებელია სახელმძღვანელოების ჩამოტვირთვა რატომ არ ინახება ისინი ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ საკითხი ბენჩმარკინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებისას ვერ მოხდა სტუდენტების პარტნიორებთან გადანაწილების მექანიზმის შეფასება, მაგალითად როგორ ნაწილდებიან სტუდენტები, რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლიათ დაწესებულებებს და ასე შემდეგ. არის დეტალები, რომლებიც არ არის მოცემული სილაბუსში. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ შეიქმნას მსგავსი დოკუმენტი, სადაც მთლიანი პროცესი იქნება მოცემული.

აღსანიშნავია ასევე, რომ სილაბუსებში მოცემული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა და წყაროები, შესაბამისად ექსპერტებს მოუწიათ შეეფასებინათ აღნიშნული რაოდენობის რელევანტურობა ერთი კონკრეტული სასწავლო კურსისთვის, რაც ვერ განხორციელდა, შესაბამისად განისაზღვრა აუცილებელი რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პირველ და მე-2 სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციების შესასრულებლად დაწესებულებას არ სჭირდება დიდი დრო, რაც დადასტურდა როგორც ინტერვიუების დროს ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციიდან. სწორედ აქედან გამომდინარე, სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

რაც შეეხება ბენჩმარკინგს, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დარგობრივი მახასიათებელი არ არსებობს, თუმცა დაწესებულებას მოკვლევული აქვს ანალოგიური პროგრამები და ექსპერტთა შეფასებითაც სრულიად შესაძლებელია დაფაროს პროგრამამ შესაბამისი კვალიფიკაციის შინაარსი და სწავლის შედეგები, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და მათი დიდი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია. მნიშვნელოვანია ასევე საკითხი ბმულებთან დაკავშირებით, კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამის წარმოდგენისას, უპირველესად ხდება სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში განთავსება. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში პერსონალს მიეცა უფლება სასწავლო კურსებში სახელმძღვანელოები მიეთითებინათ ბმულების სახით. თუმცა, ყოველწლიურად, დაწესებულება ახდენს პროგრამის გადახედვას, ასევე ხორციელდება სილაბუსების გადახედვა და ბმულების სისწორის დადგენა. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები და რიდერები არსებობს ფიზიკური სახით, ხოლო დანარჩენი წარმოდგენილია ელექტრონულად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:29

დასრულების დრო: 18:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.4 და 2.5 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება. აკრედიტაციის მე-3 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; აკრედიტაციის 5.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნები და დაზუსტდეს დასაქმების არეალები.

ბ) რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;

გ) რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკის შინაარსი. აღნიშნული ბლოკს დაემატოს პროგრამის სწავლის შედეგის „ჩამოთვლის/აღწერს .. განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს“ რელევანტური თემატიკა / სასწავლო კურსი;

დ) რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესურსების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა;

ე) რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დადასტურების პირობები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო რესურსებთან;

ვ) გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით და განისაზღვროს შესაბამისი სათაურები.

- ზ) პროგრამის სტრუქტურის ლოგიკური განვითარებისა და ათვისების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- თ) რეკომენდებულია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით და განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
- ი) ზოგიერთი სასწავლო კურსის („კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“, „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“) სილაბუსით აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;
- კ) რეკომენდებულია, პროგრამის მიზანში ასახული ინკლუზიური განათლების პრინციპების რელევანტურობისათვის აღნიშნული შინაარსის არჩევითი კურსი სავალდებულო საგნად განისაზღვროს.
- ლ) რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იქნას ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური რესურსების შესაბამისად.
- მ) რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
- ნ) უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებაში სტუდენტისთვის ქულის მინიჭების შემთხვევაში ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობით განსაზღვრულ ყველა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს ქულის მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ან შეფასებისას აღნიშნული უპირატესობების მინიჭების მექანიზმი მოიხსნას;
- ო) სასწავლო კურსების „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბავშვთა უფლებების“ სწავლის შედეგების მისაღწევად უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი იურიდიული განათლების მქონე პირების ჩართვა.
- პ) რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
- ჟ) რეკომენდირებულია პროგრამის დადარება ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგებთან პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ა) სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- ბ) შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე შეფასების ისეთი პროცედურა და შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას;
- გ) რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
- დ) სასწავლო კურსის „ბავშვთა უფლებების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის შევსება უახლესი ქართულენოვანი ლიტერატურით;
- ე) სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების დამხმარე ლიტერატურაში აისახოს როგორც უახლესი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები, ისე უცხოენოვანი ნაშრომები.
- ვ) შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსთან, სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებსა და ზოგადად უნივერსიტეტო პრაქტიკის დოკუმენტთან;
- ზ) სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით ამოქმედდეს შეფასების მეთოდების, ფორმებისა და შეფასების პროცედურების ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;
- თ) სასურველია, მოხდეს სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო

- სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება და სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა ამ მიმართულებით;
- ი) სასურველია, სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელით. აღნიშნული პირობა აისახოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დოკუმენტში;
 - კ) სასურველია, უზრუნველყოფილი იყოს აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობისას შესაბამისი აკადემიური სტილისა და ნორმების დაცვა.
 - ლ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების განახლება და მასში პროფესიული გამოცდილებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა;
 - მ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტატუსის / აკადემიური ხარისხის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირება და აღნიშნულ მოთხოვნებზე მორგებული შრომითი ხელშეკრულებების შემუშავება / გაფორმება.
 - ნ) უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული ტრენინგების შეთავაზებასა და მხარდაჭერას;
 - ო) სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისა და პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებაზე.
 - პ) სასურველია, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი აქტივობების შესასრულებლად გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;
 - ჟ) სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა.
 - რ) ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობისას ისეთი ღირებულებები და მიდგომები როგორებიცაა გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდობა, პრაქტიკაში მეტად უნდა იყოს რეალიზებული.
 - ს) პანდემიით/საგანგებო სიტუაციებით განპირობებული გამოწვევების მართვის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი. ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამის ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო გზამკვლევები, ტუტორიალები, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.
 - ტ) სასურველია გარე შეფასება განახორციელონ უკვე წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის პირობებში. ასევე, სასურველია, რომ ხარისხის განვითარების გარე მექანიზმი ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, .სსიპ - აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	5/05/2018, №66
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	07. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი -(07) PhD in Social Sciences, მათ შორის:-ეკონომიკის დოქტორი -(0701) PhD in Economics-სოციოლოგიის დოქტორი -(0706) PhD in Sociology -ფსიქოლოგიის დოქტორი -(0707) PhD in Psychology -საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი-(0705) PhD in International Relations(10) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი -PhD in Humanities, მათ შორის:-(1006) ფილოსოფიის დოქტორი -(1006) PhD in Philosophy -(1005) ფილოლოგიის დოქტორი -(1005) PhD in Philology -ისტორიის დოქტორი -(1004) PhD in History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკატერინე ფირცხალავა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას. მისი განმარტებით აღნიშნული საკითხი ერთხელ უკვე იქნა განხილული საბჭოზე და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მონიტორინგის შედეგებს, მაგრამ მიუხედავად ამისა თავიანთ პოზიციას უცვლელად ტოვებენ. მან გამოთქვა მზაობა, რომ ექსპერტთა ჯგუფი მზად არის საჭიროების შემთხვევაში დაწვრილებით უპასუხოს ყველა კითხვას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა შემდეგი სტანდარტები/კომპონენტები და შეფასება ასეთი სახით არის წარმოდგენილი; პირველი სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საგანი „სწავლების პრაქტიკა“ იყოს არა არჩევით სავალდებულო საგანთა ნუსხაში, არამედ სავალდებულო სასწავლო საგანთა სიაში.
2. პროგრამის მიმართულებების სწავლის შედეგები ნათლად უნდა ასახავდეს კომპონენტებს. მაგალითად, დოქტორანტურის საფეხურზე ყველა მიმართულებით უნდა წარმოჩნდეს სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება, რომელიც შედეგებშიც უნდა დაკონკრეტდეს; ასევე, უნარებში აისახოს კრიტიკული ანალიზის და არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის, მოსაზრებების არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარები.
3. სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სილაბუსი მითითებული შენიშვნების შესაბამისად საჭიროებს ჩასწორებას. წარმოდგენილი მიზანი და შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს; ასევე, დაზუსტდეს კვლევის მეთოდები.

გარდა ამისა, სწავლის შედეგები ვრცელადაა მოცემული და საჭიროებს დაკონკრეტებას, ისინი უნდა ასახავდეს ძირითად შედეგებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტები.

4. კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით).
5. სილაბუსში „დოქტორანტის სემინარი III“ საჭიროა გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რათა სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, ა). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ შეიქმნას დამატებითი ლიტერატურის განყოფილება და წყარო - Hoffman, J and Graham, P. (2015). Introduction to Political Theory, London and New York, Routledge - იქ იქნეს გადატანილი; აღნიშნული წყარო ამოღებული იქნეს კალენდარული გეგმის პირველი და მესამე კვირიდან; ბ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის 1-ელ კვირაში თემისთვის „პოლიტიკური თეორიის საგანი. პოლიტიკისა და პოლიტიკური ფენომენის განსაზღვრის მცდელობა კარლ შმიტის მიერ“, ზემოთ ხსენებული Introduction to Political Theory-ის ნაცვლად, შმიტის შესახებ უფრო სპეციალიზებული მასალა იქნეს მითითებული (მაგალითად, The Oxford Handbook of Carl Schmitt, edited by J. Meierhenrich and O. Simons, Oxford: Oxford University Press, 2016); გ). სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კალენდარული გეგმის მე-3 კვირაში თემისთვის „სახელმწიფოს წარმოშობის კლასიკური თეორიები“ მითითებული ლიტერატურა შეივსოს სხვა წყაროებით, რათა ის სადოქტორო დონისთვის უფრო ადეკვატური გახდეს (მაგალითად, Quentin Skinner, “A Genealogy of the Modern State”, Proceedings of the British Academy, 162 (2009), გვ. 325-370).
6. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.
7. კურსის - „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - სწავლის შედეგები საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი წარმოდგენილი დებულების მესამე საფეხურისთვის შესაბამისობაში მოყვანას; კერძოდ, სილაბუსში სწავლების შედეგში წერია: „დოქტორანტს შეუძლია აკადემიური კითხვასა და წაკითხულიდან აზრის ეფექტიანად გამოტანა.“ ჩნდება შეკითხვა: რა მექანიზმით მოწმდება შედეგი? ასევე, დოკუმენტში წერია: „დოქტორანტს აქვს აკადემიური წერის ფუნდამენტური უნარი, ნებისმიერი აკადემიური და არაკადემიური კომუნიკაციისათვის.“ გაუგებარია, რა იგულისხმება „არაკადემიურ კომუნიკაციაში“. თუკი აქ იგულისხმება არაკადემიური სტილი, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩასწორება. სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „დოქტორანტმა იცის აკადემიური წერის თანამედროვე ნორმები და სტილები“, რომლებიც თემატიკაში არსად არ არის განხილული (სავარაუდოდ, იგულისხმება APA-ს, Chicago-ს, და ა.შ სტილი). დაბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი სადავოა. მაგალითად: „დოქტორანტს შეუძლია წაკითხული მასალის გააზრება, ლაკონიურად აზროვნება და წერა.“ ეს უნარი დოქტორანტს ადრეულ საფეხურზე უკვე უნდა ჰქონდეს გამომუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მათი პოზიციები თავიდანვე ნათელი იყო, რაც ასევე დაადასტურა სააპელაციო საბჭომ. მისი განმარტებით, მონიტორინგის ჩატარებამდე არ არსებობდა რეკომენდაცია აკრედიტაციის მე-4 სტანდარტთან მიმართებით, შესაბამისად

აუცილებელია აღნიშნულის დასაბუთება. სრულიად გაუგებარია, თუ რის საფუძველზე განისაზღვრა რეკომენდაცია მე-4 სტანდარტთან მიმართებით.

გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების მიერ თავისი დისკრეციის ფარგლებში განხორციელდა ერთ-ერთი დისციპლინის „აკადემიური სემინარი 3-ის“ შინაარსის ცვლილება და აღნიშნა, რომ მონიტორინგის განხორციელების ვადის დაურღვევლობის შემთხვევაში რეკომენდაციის გაცემა არ განხორციელდებოდა, ხოლო ამჟამად რეკომენდაცია გაცემული იყო იგივე სახელწოდების, მაგრამ სხვა შინაარსის დისციპლინასთან მიმართებით. აღსანიშნავია ასევე, რომ რეკომენდაციები დაწერილია რადიკალურად განსხვავებული საგნების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც არ ჩატარებულა ვიზიტი და ინტერვიუები. ცხადია, რომ უნივერსიტეტი ვადის დარღვევის გამო დაზარალდა, რადგან დაიხარჯა საკმაოდ დიდი რესურსი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია რეკომენდაცია გამომდინარეობდეს იქიდან, რაც არ არსებობს. სააპელაციო საბჭომ მკაფიოდ მიუთითა, რომ ახალ და ძველ რეკომენდაციებს შორის უნდა მყარდებოდეს ცალსახა, ლოგიკური და უშუალო კავშირი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით არის შემდეგი ჩანაწერი, რომ გაძლიერდეს პროგრამა კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რატომ მიაჩნია დაწესებულებას, რომ მოცემული ჩანაწერი გარკვეულ ფარგლებს სცილდება და შინაარსობრივად არ უკავშირდება თავად პროგრამას.

დაწესებულების რექტორის განმარტებით ექსპერტებმა უნდა დაასაბუთონ, რომ ახალი რეკომენდაცია გამომდინარეობს ძველი რეკომენდაციის შესრულების გარემოებიდან, თუმცა რეკომენდაცია მოცემულ სტანდარტში არ არსებობდა, შესაბამისად გაუგებარია თუ საიდან გამომდინარეობს აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას შემადგენლობაში ჰყავს მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მხოლოდ ერთი პირია, რომელსაც ამ კუთხით აქვს კვალიფიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი წარმოადგენს ფაქტორბივ უზუსტობას და ექსპერტები არ გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს, სადაც მითითებული იყო შესაბამისი ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტების მიერ დაწესებულებაში გაგზავნილი იქნა წერილი, რის შედეგადაც დაწესებულების მხრიდან მიღებული იქნა ჩამონათვალი ადამიანებისა, რომლებიც უნდა იყვნენ სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელები.

აღნიშნულ ჩამონათვალში მხოლოდ ერთი პირი, კერძოდ გაგა ნიჟარაძე იყო ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთი პირი 5 ადამიანს ვერ უხელმძღვანელებს. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა ამ მიმართულებით პერსონალის დამატებას, სიტუაცია არ შეცვლილა. აღსანიშნავია, ასევე, რომ აკადემიური პერსონალი ეკონომიკის მიმართულებაზე ორი ლექტორით განისაზღვრება, მათ შორის ერთი მოწვეული პერსონალია. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სადისერტაციო საბჭოში არ არის წარმოდგენილი ეკონომიკის მიმართულების პერსონალი (პროფესორი). აკადემიური პერსონალის მხრივ მსგავსი გამოწვევა არის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებითაც. მართალია, საწყის სამეცნიერო მიმართულების კომისიის წევრთა კვალიფიკაცია, შესაძლოა, არ იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის სიის საფუძველზე, ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა, რამდენად აქვს მოცემულ ეტაპზე პროგრამას იმის რესურსი, რომ ფილოსოფიის დოქტორის, ფსიქოლოგიის დოქტორის, ეკონომიკის დოქტორისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მაძიებელი სტუდენტი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით უზრუნველყოს. ექსპერტთა ჯგუფის ანალიზი,

ძირითადად, ეყრდნობა პერსონალის CV-ებს, სამეცნიერო მიმართულების კომისიისა და სადისერტაციო კომისიის მონაცემებს.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ უნდა დადგინდეს თუ საბჭოზე გაცემულ რომელ რეკომენდაციაზე დაყრდნობით განსაზღვრა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადასტურდეს, რომ ხუთ ფსიქოლოგიის დოქტორანტს ერთი პერსონალის ვერ გაუძღვება, თუმცა აღსანიშნავია, რომ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ არსებობდა, ამიტომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია საინდან გამომდინარეობს სრულიად გაუგებარია.

ექსპერტის განმარტებით ცენტრიდან მიღებულ წერილში მოცემული იყო, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ არის შეზღუდული სხვა დამატებითი გარემოებების, მიგნებებისა და მოსაზრებების შემთხვევაში გააკეთოს შესაბამისი დასკვნა. თუ დაწესებულება აღნიშნულს აპროტესტებს, საკითხი უნდა იყოს გარკვეული ცენტრთან მიმართებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმის 23-ე გვერდზე მოცემული იყო შემდეგი, კერძოდ მიმღებმა კომისიამ შეაფასოს აპლიკანტის კვალიფიციურობა და შესაბამისად განსაზღვროს აპლიკანტის შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის კონკრეტული მიმართულების კვალიფიკაციების მიმართ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი პირი, რომელსაც ჰქონდა ფილოსოფიის მიმართულებით აკადემიური ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს განმარტებით, მონიტორინგი მხოლოდ შეიძლება განხორციელებულიყო იმ საკითხებზე, რომლებზეც საბჭომ გასცა რეკომენდაცია, ხოლო შემდგომი რეკომენდაციები უშუალოდ და პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს ამ რეკომენდაციებიდან. ეს არის მოცემულობა. კადრების შეფასება ვიზიტის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ასევე აღსანიშნავია არსებობდა თუ არა მონიტორინგის განხორციელების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ცენტრს პროცედურული განმარტების გაკეთებისკენ.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააპელაციო საბჭოს მიერ საკითხის დაბრუნების შემდგომ, სააკრედიტაციო საბჭო, დებულების მიხედვით ვალდებულია აღნიშნული საკითხი განიხილოს თავიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებისა და ოქმის საფუძველზე. დებულების მიხედვით, საკითხის განხილვა იწყება თავიდან.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ ნამდვილად არის სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებაში საუბარი იმაზე, რომ აკრედიტაციის საბჭომ დაადგინოს დაზარალება თუ არა ინსტიტუცია. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ დაზარალება დაწესებულება და რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი რეკომენდაციების შესასრულებლად, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 6 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, საბჭოს წევრის განმარტებით ოქმში დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ აკადემიურ რესურსთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე არ მიეცა საშუალება რომ კომენტარი გაეკეთებინა, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ასევე მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ თუ რა ლოგიკური ბმა არსებობს წინა რეკომენდაციებსა და წარმოდგენილ რეკომენდაციებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ექვს თვიან ვადაზე იყო იმ მოტივაციით, რომ იგივე საბჭოს, რომელმაც კონტექსტი იცოდა შეემოწმებინა აღნიშნული პირობები. იმის გამო რომ ექვს თვიანი ვადა დაირღვა, დაწესებულება შევიდა პროცესში, რომელშიც ამჟამად იმყოფება. ინსტიტუციას მოუწია სააპელაციო საბჭოზე წარდგენა და ახლა კვლავ საკითხის სააკრედიტაციო საბჭოზე განხილვა. ექვს თვიანი ვადა განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული დრო საკმარისი იყო რეკომენდაციების შესასრულებლად, თუმცა პროგრამის კადრებით შევსება ექვსი თვის ვადაში შესასრულებელი რეკომენდაცია ნამდვილად არ არის.

დაწესებულების პრორექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის უნიკალური და მისი უნიკალურობა მდგომარეობს ინტერდისციპლინაში, ასევე უნიკალურია პროგრამის კადრები თავიანთი ინტერდისციპლინარული პროფილებით. აკადემიური პერსონალის უმრავლესობას განათლება ისე აქვს მიღებული, რომ ის კვალიფიციურია რამდენიმე მომიჯნავე დარგში. აღსანიშნავია ასევე, რომ ფილოსოფიის მიმართულებით დაწესებულება არ არის შემოფარგლული მხოლოდ ერთი ლექტორით. აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალზე დასკვნის გკეთება შეუძლებელია ვიზიტისა და ინტერვიუების გარეშე. დაწესებულებას არ აქვს ვალდებულება დოქტორანტების აყვანის და იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტს არ ექნება შესაძლებლობა დოქტორანტების დიდი რაოდენობის მიღების, უბრალოდ არ აიყვანს მათ. ჯერ არ დაფიქსირებულა ფაქტი იმისა, რომ უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფდეს ინტელექტუალური რესურსებით დოქტორანტებთან სათანადო მუშაობას. დაახლოებით 2/3 სტუდენტს დაწესებულება უარს ეუბნება სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიზეზების გამო, იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტების მომზადების დონე არ შეესაბამება დაწესებულების მოთხოვნებს, ან მაშინ როდესაც საკვლევი სფერო და ინტერესი არ შეესაბამება პერსონალის პროფილებსა და კვალიფიკაციას. დაწესებულება მიიღებს იმდენ დოქტორანტს რამდენსაც გაწვდება მისი ინტელექტუალური რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ერთი პროცესია წინა საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომელიც არ შესრულებულა და სრულიად განსხვავებული პროცესია ის მონიტორინგი რაც განხორციელდა. ახალ კი ხდება ამ ორი პროცესის შერწყმა, შესაბამისად გაუგებარი თუ რა განიხილება. წინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგი არ ჩატარებულა, ჩატარდა სრულიად განსხვავებული პროცესი, რადგან ექსპერტებს უნდა შეემოწმებინათ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შედეგი. ასევე, შეუძლებელია ლოგიკური ბმის დადგენა, რადგან წინა საბჭოს არ გაუცია რეკომენდაცია მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით.

ექსპერტმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმის 23-ე გვერდზე მოცემული იყო, რომ მიმღებმა კომისიამ შეაფასოს აპლიკანტის კვალიფიციურობა და შესაბამისად განსაზღვროს აპლიკანტის შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის კონკრეტული მიმართულების კვალიფიკაციების მიმართ. შესაბამისად მოხდა კვალიფიკაციის შემოწმება, გადაიხედა აკადემიურ პერსონალის CV-ები და დადგინდა, რომ მხოლოდ ერთი პირია კვალიფიციური ფილოსოფიის მიმართულებით, რაც ინტერდისციპლინარული ხასიათის მიუხედავად, პროგრამისთვის არ არის საკმარისი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ გააჟღერა სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება, კერძოდ: სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, შემდეგი მითითებებით: აკრედიტაციის საბჭომ უნდა გამოიკვლიოს ექვს თვიანი ვადის დარღვევის შედეგი, მისი შესაძლო გავლენა გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ასევე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველის გარეშე მისი გაუგრძელებლობის საფუძველი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა გავლენას ახდენს შედეგი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გარდა ამისა, როდესაც დაწესებულებამ მიიღო ინფორმაცია, რომ მონიტორინგი ტარდება ექვს თვიანი ვადის დარღვევით, რატომ არ გასაჩივრდა იმ მომენტში აღნიშნული პროცესი, როგორც მოსალოდნელი კანონის დარღვევა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულება არ არის შეზღუდული გასაჩივრების ვადაში და ეს ვადა არ ყოფილა გაშვებული, უნივერსიტეტი მოქმედებდა თანამშრომლობის სურვილიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ვადა იყო დარღვეული, დაწესებულება ვერ ივარაუდებდა, რომ ის დაზარალდებოდა და ამდენი დრო, ენერგია და რესურსი დაიხარჯებოდა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. დაწესებულებას ჰქონდა ნდობა, რომ მონიტორინგი მიუხედავად ვადების დარღვევისა ჩატარდებოდა იმ

ფარგლებში, რომლებიც საბჭომ დაადგინა. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება დაზარალდა, ვინაიდან მოხდა რესურსების არასათანადოდ დახარჯვა. გარდა ამისა, როდესაც დადგინდა, რომ მონიტორინგის ფარგლები იყო დარღვეული დაწესებულებამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ის მექანიზმები, რომლებიც არ არის ხანდაზმული და შესაბამისად, გასაჩივრება მოხდა მაშინ, როდესაც დადგა აღნიშნული გარემოებები. საბჭოს აქვს უფლება, რომ გაახანგრძლივოს ვადა, თუმცა აღნიშნული პროცედურა არ იყო დაცული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ვადის დარღვევასა და მონიტორინგის ფარგლებს გარეთ გასვლას შორის არ ჩანს კავშირი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნდა დადგინდეს ლეგიტიმურად დაინიშნა თუ არა ვადის გასვლის შემდეგ მონიტორინგი, იმ პირობებში, როდესაც ეს ვადა არ გაგრძელებულა.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მონიტორინგის არეალი ვერ გაცდება რეკომენდაციებს და იმ საკითხებს რომლებთან დაკავშირებითაც საბჭომ იშუამდგომლა ცენტრთან, რათა განხორციელებულიყო მონიტორინგი. ამ ეტაპზე აკრედიტაციის საბჭო ხელახლა განიხილავს საკითხს. მას შეუძლია დატოვოს თავისი ძველი გადაწყვეტილება ძალაში ან მიიღოს ახალი გადაწყვეტილება და შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცხადებული იყო, რომ მათ არ ჰქონდათ მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა შემოფარგულიყვნენ წინა რეკომენდაციების ფარგლებით და პირიქით შეეძლოთ განეხილათ სხვა საკითხებიც.

ცენტრის წარმომადგენელმა საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც ბრძანება გამოიცემა ექსპერტთა ჯგუფის შექმნის თაობაზე, პირდაპირ განისაზღვრება ასევე მათი მანდატი, როგორც აკრედიტაციის, ასევე მონიტორინგის პროცესის დროს. შესაბამისად, მუდმივად მოწმდება რეკომენდაციების შესრულება. რაც შეეხება მონიტორინგის ვადას, ცენტრი ბუნებრივია ითვალისწინებს საბჭოს შუამდგომლობებს და შესაბამისად ახორციელებს გეგმიურ ან არაგეგმიურ მონიტორინგებს. შესაბამისად ცენტრი ვერ გაიზიარებს იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნულმა ფაქტმა შეცვალა შედეგები რაც დაიღო მონიტორინგის ფარგლებში. გარდა ამისა, კანონში არ არის მითითება ვადის გაახანგრძლივების პროცედურის დაცვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია თვლის, რომ ექვს თვეში მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული მოხდებოდა იმ საბჭოს პირობებში, რომელმაც გასცა რეკომენდაციები და შესაბამისად, ბევრად უფრო ნაკლები ძალისხმევა იქნებოდა უნივერსიტეტის მხრიდან საჭირო იმისთვის, რომ ყველა გარემოების აღწერა მოეხდინა საბჭოსთვის, რომელმაც მიიყვანა რეკომენდაციების შესრულებამდე. ამის შემდგომ შეიცვალა საბჭოს შემადგენლობა და ასევე შეიცვალა პროგრამაც. მაგალითად რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო საბჭოს მიერ პროგრამის კომპონენტის, სადოქტორო სემინარი 3-ის მიმართ, უკვე არარელევანტურია, რადგან აბსოლუტურად შეიცვალა სემინარის შინაარსი. ახლა კი დაიწერა სხვა შინაარსის რეკომენდაციები და ხდება მათი შემოწმება, რაც სრულად გაუგებარია. უტყუარი ფაქტობრივი გარემოება არის ის, რომ მე-4 სტანდარტის მიმართ საბჭოს არ ჰქონდა რეკომენდაცია გაცემული, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ მოხდა რეკომენდაციის განსაზღვრა ვიზიტისა და ინტერვიუების გარეშე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული მონიტორინგის ფარგლები.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოქმედი დებულების მიხედვით, ცენტრს ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა მონიტორინგი, რისთვისაც ცალკე ოქმში ცვლილების შეტანა არ იყო საჭირო. შესაბამისად ცენტრის გადმოსახედიდან აღნიშნული ვიზიტი იყო სრულიად ლეგიტიმური. გამოკვეთილი ახალი გარემოება ვერ იმოქმედებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ახალი გარემოების არსებობის შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ხელახალი მონიტორინგი გამოკვეთილ საკითხთან დაკავშირებით.

20:15- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ჭალაგანიძემ

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა რეკომენდაცია მე-4 სტანდარტთან მიმართებით არის არის ლეგიტიმური მის შესრულებასა და შეუსრულებლობაზე საუბარი, ვინაიდან ექსპერტები მოქმედებდნენ უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომ შეაფასოს აპლიკანტის კვალიფიციურობა. ექსპერტებმა გამოითხოვეს დოკუმენტაცია დაწესებულებიდან, თუმცა მიიღეს პასუხი დაწესებულებიდან, რომ ცდებოდნენ უფლებამოსილების ფარგლებს, შესაბამისად ვერ მოხერხდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოკვლევა და ექსპერტთა დასკვნა გამომდინარეობდა სწორედ არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. ერთი პირი ფილოსოფიის კვალიფიკაციით აპლიკანტს ვერ შეაფასებს და აღნიშნული არ არის საკმარისი სადოქტორო დონეზე გადასასვლელად.

რაც შეეხება „დოქტორანტის სემინარი 3“-ს , აკრედიტაციის საბჭოს მე-6 რეკომენდაცია არის შემდეგი სახის, გადაიხედოს ყველა სასწავლო სილაბუსი და მოვიდეს მე-3 დონის კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში; სემინარებში ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსში მითითებული იყოს სასწავლო საფეხურის შესაბამისი ლიტერატურა, საბჭოსა და ექსპერტებს კი შეთავაზებული ჰქონდათ ალტერნატივები, რაც დაწესებულებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 10 რეკომენდაციიდან, 5 შესრულებულია დაწესებულების მიერ, ხოლო 5 რეკომენდაცია არ იქნა შესრულებული.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სილაბუსი მითითებული შენიშვნების შესაბამისად საჭიროებს ჩასწორებას. წარმოდგენილი მიზანი და შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს; ასევე, დაზუსტდეს კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, სწავლის შედეგები ვრცლადაა მოცემული და საჭიროებს დაკონკრეტებას, ისინი უნდა ასახავდეს ძირითად შედეგებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტები. რეკომენდაციის დატოვება გამომდინარეობდა იქიდან, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები არ იყოს ჩასწორებული საჭიროებისამებრ. აღნიშნული რეკომენდაცია პირდაპირ კავშირშია წინა საბჭოს მე-6 რეკომენდაციასთან, სადაც საუბარია იმაზე, რომ აუცილებელია გადაიხედოს ყველა სასწავლო სულაბუსი და მოვიდეს მე-3 დონის კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში.

საბჭოზე ცენტრის მიერ მოხდა 2018 წლის აკრედიტაციის საბჭოს №23 ოქმის გაზიარება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული ოქმში წარმოდგენილი პირველი და მე-2 რეკომენდაცია.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნული ლოგიკურად ებმის იმ სილაბუსებს, რომელზეც ექსპერტებს ჰქონდათ საუბარი, შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. თუმცა ექსპერტთა მიერ ძირითადად შემოწმდა მე-3 დონესთან შესაბამისობის ნაწილი.

დაწესებულების მიერ ასევე სრულიად შესრულებულია მე-4 და მე-5 რეკომენდაციები, რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, მოხდა მისი ნაწილობრივ შესრულება, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში ოთხ სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტებმა განსაზღვრეს რეკომენდაცია, რადგან ისინი არ იყოს შესაბამისობაში მოყვანილი.

მე-7 რეკომენდაცია, რაოდენობრივი კვლევის სილაბუსთან დაკავშირებით არ იქნა შესრულებული, რაც ასევე აღნიშნულია მონიტორინგის დასკვნაში და წარმოდგენილია რეკომენდაციის სახით. ასევე თავიდან იქნა გაცემული რეკომენდაცია მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სილაბუსში „დოქტორანტის სემინარი III“ საჭიროა გარკვეული

ცვლილებების განხორციელება, რათა სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან. კერძოდ, კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ შინაარსი, დიდწილად, პოლიტიკური და ძალაუფლების თეორიების ანალიზს ასახავს. მნიშვნელოვანია კურიკულუმში ისეთი სასწავლო კურსის გათვალისწინება, რომლის შინაარსი შესაბამისი იქნება მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან (მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით). ასევე აუცილებელია სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ შეიქმნას დამატებითი ლიტერატურის განყოფილება და წყარო.

მე-9 რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია, ხოლო რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, აღნიშნული არ იქნა შესრულებული და ექსპერტების მიერ მოცემული რეკომენდაციის საფუძველზე განისაზღვრა ახალი რეკომენდაცია მე-4 სტანდარტთან მიმართებით, კერძოდ მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული აკრედიტაციის საბჭოზე და შესაბამისად განხორციელდა სადისერტაციო დებულების ცვლილება. გარდა ამისა, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებულია, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია არ შესრულდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და საერთოდ მოცემული რეკომენდაცია ამოიღო. მონიტორინგის ექსპერტთა დასკვნაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ექსპერტები ამოწმებდნენ პროგრამას აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, რაც საერთოდ არ უნდა მიღებულიყო მხედველობაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა საჭიროებს ფილოსოფიის კვალიფიკაციის მქონე მეტ აკადემიურ პერსონალს, რათა დოქტორანტს თავად ჰქონდეს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირებისგან მინიჭებული კვალიფიკაცია.

დაწესებულების რექტორის განმარტებით დოკუმენტურად საბუთდება, რომ ექსპერტები მუშაობის დროს მინიჭებულ ფარგლებს არ იცავდნენ. თუკი წინა საბჭო ჩათვლიდა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სათანადო აკადემიური რესურსი, რატომ არ ჩაწერდა აღნიშნულს რეკომენდაციებში. ფაქტი არის, რომ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში არ გაცემულა რეკომენდაცია, შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დავა აზრსმოკლებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული მოიცავდა პროგრამაში ინტერდისციპლინური ბუნების გაწერას, რაც პროგრამაში გაიწერა. აღნიშნული ეხებოდა მხოლოდ პროგრამის აღწერის დოკუმენტს. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ ჰქონიათ, ამიტომ გაუგებარია როდესაც ამბობენ, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.

ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა მონიტორინგის ექსპერტთა დასკვნის გაზიარება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოხდა შეცდომა და აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-3 რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და განმარტა, რომ მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებით გაცემულია რეკომენდაცია სამ სასწავლო კურსთან დაკავშირებით. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ექსპერტებმა გადახადეს ყველა სილაბუსს და წინა საბჭოს რეკომენდაციებისგან განსხვავებით დაემატა რეკომენდაცია აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსთან დაკავშირებით. ასევე, შესრულებულია საბჭოს მიერ განსაზღვრული მე-7 რეკომენდაცია. რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, რომელიც

გულისხმობდა სწავლების პრაქტიკის სავალდებულო საგანთა ნუსხაში გადატანას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ იქნა გაზიარებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ, რეკომენდაციად განისაზღვრა მონიტორინგის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი დაღანიძემ დააზუსტა, კავშირშია თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა მე-5 რეკომენდაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა მე-10 რეკომენდაციასთან, კერძოდ როცა მითითებული იყო, რომ უნდა შემოწმებულიყო ყველა კვალიფიკაცია, მონიტორინგის ექსპერტთა მიერ განისაზღვრა რეკომენდაცია, რომ მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით. ამასთან, სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა აღნიშნული მოსაზრება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი იქნა აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი აკადემიური ხარისხის მითითების მიხედვით, ასევე, რეალური და პოტენციური ხელმძღვანელების სია მიმართულებებზე კვალიფიკაციის მიხედვით. პასუხად ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს სია. ამის გამო ექსპერტთა ჯგუფის ანალიზი, ძირითადად, ეყრდნობა პერსონალის CV-ებს, სამეცნიერო მიმართულების კომისიისა და სადისერტაციო კომისიის მონაცემებს. მართალია, საწყის (ჩარიცხვის ეტაპზე) სამეცნიერო მიმართულების კომისიის წევრთა კვალიფიკაცია, შესაძლოა, არ იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის სიის საფუძველზე, ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა, რამდენად აქვს მოცემულ ეტაპზე პროგრამას იმის რესურსი, რომ ფილოსოფიის დოქტორის, ფსიქოლოგიის დოქტორის, ეკონომიკის დოქტორისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მადიებელი სტუდენტი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით უზრუნველყოს. აღნიშნული მსჯელობები ლოგიკურად გამომდინარეობს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციიდან და არ წარმოადგენს მონიტორინგის მიზნებიდან გადაცდომას, არამედ ორიენტირებულია გარე შეფასების მეშვეობით პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დააზუსტა არსებული რესურსებიდან გამომდინარე შეუძლია თუ არა დაწესებულებას დოქტორანტების რაოდენობის პროპორციულად უზრუნველყოს კვალიფიციური ხელმძღვანელი, მაღალი დონის სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად. ექსპერტმა ფილოსოფიის მიმართულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ხელმძღვანელობა შესაძლებელია გაეწიოს დოქტორანტს, თუმცა სრულფასოვანი სადისერტაციო პროცესი, რომ ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი ფილოსოფიის მიმართულებით გაიცეს ვერ მოხერხდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს დოქტორანტების რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუმცა დოკუმენტი არ მიუღიათ. მსგავსი მდგომარეობაა სხვა მიმართულებებთან დაკავშირებითაც. ფილოსოფიის მიმართულების სამეცნიერო კომისიაში არ შედის ფილოსოფიის კვალიფიკაციის მქონე პირი, იგივე შეიძლება ითქვას ფსიქოლოგიის მიმართულებაზეც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის სიაში ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია აქვს მხოლოდ ერთ პირს. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებდა ამ მიმართულებით პერსონალის დამატებას, არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა. აღსანიშნავია, ასევე, რომ აკადემიური პერსონალი ეკონომიკის მიმართულებაზე ორი ლექტორით განისაზღვრება. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სადისერტაციო საბჭოში არ არის წარმოდგენილი ეკონომიკის მიმართულების პერსონალი (პროფესორი). აკადემიური პერსონალის მხრივ მსგავსი გამოწვევა არის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებითაც. თუმცა ხელმძღვანელობის პრობლემა არ დგას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა საბჭოს ექვევებ არ დაუყენებია პროგრამის ვალიდურობა, რაც ექსპერტებმა დააყენეს. ექსპერტთა მსჯელობა დემონსტრირებას ახდენს, რომ ისინი არ იფარგლებოდნენ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც განსაზღვრული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. აკრედიტაციის საბჭოს აღნიშნული საკითხი არ განუხილავს.

მნიშვნელოვანია, რომ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი უზრუნველყოფს დოქტორანტს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სათანადო მეთოდოლოგიური მომზადებითა და დარგობრივი ინსტრუმენტებით. პროგრამის კონცეფცია გულისხმობს დოქტორანტისადმი ინდივიდუალიზირებულ მიდგომას და ასევე, უზრუნველყოფს კონკრეტული დარგის ან ქვედარგის ფარგლებში ღირებული სამეცნიერო ინოვაციებისა და შემოქმედებითობის ხელშეწყობას. პროგრამის კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში არსებულ მზარდ ტენდენციას, რომ ხელი შეუწყოს დისციპლინებს შორის საზღვრების რღვევასა და პრობლემაზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრამაში დეტალურად გაიწერა დოქტორანტის მიღების კრიტერიუმები და პროცედურები. მიღების პროცედურაში მკაფიოდ არის განმარტებული, როგორ განისაზღვრება აპლიკანტის კვალიფიციურობა და კვლევითი პროექტის სამეცნიერო რელევანტურობა აპლიკაციის (განსაკუთრებით კვლევითი პროექტის განაცხადის) და ზეპირი გამოცდის საფუძველზე. პროგრამაში დეტალურად გაიწერა კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურა. კერძოდ მკაფიოდ არის აღწერილი სადისერტაციო საბჭოსა და სამეცნიერო მიმართულების კომისიის როლი კვლევის ინტერდისციპლინურობის შეფასებასა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის განსაზღვრაში. ლექტორთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით განხილვა აკრედიტაციის საბჭოს ფარგლებში არ ყოფილა.

რაც შეეხება დოქტორანტის სემინარს, სავალდებულო არჩევითი საგნების მოდულში დაემატა კურსი დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტებს აქვს შესაძლებლობა ერთი სემესტრის განმავლობაში იმუშაონ ნებისმიერი პროფესორის ხელმძღვანელობით, მათ მიერ არჩეულ თემაზე, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამის განვითარების მიზნით და არსებული კოჰორტას კვლევითი მიზნების გათვალისწინებით, კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ თემატიკა შეიცვალა და ეკონომიკური თეორიის ნაცვლად კურსი ეთმობა პოლიტიკურ და ძალაუფლების თეორიებს.

ასევე სასწავლო კურსში „სწავლების პრაქტიკა“ უფრო დეტალურად გაიწერა შეფასების კრიტერიუმები და განისაზღვრა დოქტორანტის მიერ კურსის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო პროგრამის აღწერაში ვრცლად გაიწერა პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნება და დეტალურად არის ახსნილი კონკრეტულად რა მეთოდით და რომელი ინსტიტუციონალიზებული ფორმატის ფარგლებში ხორციელდება პროგრამის ინტერდისციპლინური მიზნები. პროგრამაში ასევე სრულად არის განსაზღვრული თუ როგორ ემსახურება როგორც სასწავლო კომპონენტის, ისე კვლევითი კომპონენტის ნაწილი პროგრამის ინტერდისციპლინურ მიზნებს. ასევე, მკაფიოდ არის მოცემული თუ რას გულისხმობს ინტერდისციპლინური კვლევა და რა ფორმით/მექანიზმებით ხორციელდება ის პროგრამის ფარგლებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამაში დეტალურად გაიწერა სოციალურ მეცნიერებათა დოქტორისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის შესაბამისი სწავლის შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგი არ უნდა ყოფილიყო შემოფარგლული მხოლოდ რეკომენდაციებით. თუმცა დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა

თავისი პოზიცია საკითხთან და პროცესთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველი არ ჩანს, რიგ შემთხვევებში კი მოსაზრება ჰიპოთეზებზეა დამყარებული თუ რა შეიძლება მოხდეს და არ არის შეფასებული არსებული ფაქტები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:13

დასრულების დრო: 23:09

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამას განესაზღვროს ის სწავლის შედეგები, რომელებიც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებით;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „დოქტორანტის სემინარი III“ კურსის შინაარსი და სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;
- სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, კურსის მიზანი და შედეგები ერთმანეთთან მოვიდეს შესაბამისობაში;

რჩევები:

- წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში ჩასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამაზე მიღების წინაპირობაში დაფიქსირდეს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა;
- სასურველია, არ დაწესდეს შეზღუდვა და სამოტივაციო წერილის მოცულობა იყოს წარმოდგენილი ისე, როგორც დებულებაშია, კერძოდ, სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას.
- გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა; კერძოდ, სავალდებულო არჩევით საგანთა კორექტირებულ ჩამონათვალში წერია „დოქტორანტის ინდივიდუალური სემინარი“, მაგრამ მეორე დოკუმენტში, სადაც კურიკულუმი და სამეცნიერო მიმართულების კომისია არის წარმოდგენილი, მითითებულია „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“.
- „აკადემიური წერა დოქტორანტებისთვის“ - კურსის სწავლის შედეგების საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი წარმოდგენილი დებულების მესამე საფეხურისთვის

შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, სილაბუსში სწავლების შედეგში წერია: „დოქტორანტს შეუძლია აკადემიური კითხვასა და წაკითხულიდან აზრის ეფექტიანად გამოტანა.“ ჩნდება შეკითხვა: რა მექანიზმით მოწმდება შედეგი? ასევე, დოკუმენტში წერია: „დოქტორანტს აქვს აკადემიური წერის ფუნდამენტური უნარი, ნებისმიერი აკადემიური და არაკადემიური კომუნიკაციისათვის.“ გაუგებარია, რა იგულისხმება 9 „არაკადემიურ კომუნიკაციაში“. თუკი აქ იგულისხმება არაკადემიური სტილი, უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩასწორება. სწავლის შედეგებში ვკითხულობთ: „დოქტორანტმა იცის აკადემიური წერის თანამედროვე ნორმები და სტილები“, რომლებიც თემატიკაში არსად არ არის განხილული (სავარაუდოდ, იგულისხმება APA-ს, Chicago-ს, და ა.შ სტილი). დაბოლოს, ზოგიერთი ჩანაწერი სადავოა. მაგალითად: „დოქტორანტს შეუძლია წაკითხული მასალის გააზრება, ლაკონურად აზროვნება და წერა.“ ეს უნარი დოქტორანტს ადრეულ საფეხურზე უკვე უნდა ჰქონდეს გამომუშავებული.

ე) კურსში „დოქტორანტის სემინარი III“: ა). კალენდარული გეგმის მე-4 კვირაში თემისთვის „ახალი დროის პოლიტიკური თეორიები: თომას ჰობსი და ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგიის კრიტიკა“ მითითებული ლიტერატურა, შეივსოს ჰობსის რომელიმე ნაშრომით, რადგან სხვა შემთხვევებში ავტორი ყველგან უთითებს საკვანძო ავტორს (1-ელ კვირაში შმიტის შესახებ მითითებულია შმიტის ნაშრომი, მე-5 კვირაში მონტესკიეს შესახებ მონტესკიე მითითებულია ლიტერატურაში, მე-6 კვირაში რუსოს შესახებ რუსო მითითებულია ლიტერატურაში და ა.შ.); ბ). კალენდარული გეგმის მე-6-7-8-12-14-ე კვირებში სასურველია საკვანძო ავტორების შრომების შევსება მეორადი ლიტერატურით, როგორც ეს წარმოდგენილია სილაბუსის მე-5-9-11 კვირებში (საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად: „სემინარებში ძირითადი ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით“).

ვ) კურსში „სწავლების პრაქტიკა“ სასურველია კურსის შინაარსთან დაკავშირებით უფრო სრულყოფილი ჩანაწერის წარმოდგენა, რომელიც სრულად ასახავს სტუდენტის სწავლის შედეგებზე გასვლას.

ზ) კურსში „დოქტორანტის სემინარი II“: ა). განყოფილებაში „დამატებითი მასალები“ კლიფორდ გირცის ნაშრომთან ამოღებულ იქნეს არასწორი ციფრული იდენტიფიკატორი; ბ). ოლივერ რაისნერის ნაშრომზე “Travelling between Two Worlds - the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life” ილია ჭავჭავაძის ნაცვლად, ავტორად მითითებული იქნეს ოლივერ რაისნერი.

თ) სილაბუსებს „სწავლების პრაქტიკა“ და „არჩევითი ინდივიდუალური სემინარი“ მიეთითოს ავტორები.

ი) სასურველია, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამა გაძლიერდეს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით;

კ) კარგი იქნება, პროგრამას თან ერთვოდეს პერსონალთან გაფორმებული კონტრაქტები, რომლითაც დადასტურდებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

ლ) პროგრამის მეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველია, პროგრამის გარე შეფასების განხორციელება საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო მეტად გაზრდის პროგრამის მიმართ ინტერესს.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223

ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფარმაციის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური) მონიტორინგის საკითხის განხილვა;

რადგან აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დიდხანს გაგრძელდა, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ მეოთხე საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდგომ სხდომაზე.

საბჭომ განიხილა აღნიშნული შუამდგომლობა და მიიღო გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა დაწესებულების მოთხოვნა და საკითხის განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისთვის.

მომხრე - 11

მოწინააღმდეგე - 0

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

